

სექსუალური შევიწროვების, როგორც როგორც სოციალური პრობლემის  
კონსტრუირება გენდერის ჭრილში და მისი აქტუალობის განსაზღვრა  
ახალგაზრდების მიერ

მერი ნატროშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა: საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ნოდია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მერი ნატროშვილი

26.06.2019

## აბსტრაქტი

სექსუალური შევიწროვება სოციალურ პრობლემად განსაზღვრეს მეორე ტალღის ფემინისტებმა, რომლებმაც შემოიტანეს კიდევ ეს ტერმინი ხმარებაში 1970-იან წლებში. ამის შემდეგ, მრავალჯერ მოხდა იმის ხელახალი განსაზღვრა თუ რა არის სექსუალური შევიწროვება. რადგანაც არ არსებობს ამ ცნების უნივერსალური დეფინიცია, მოცემული კვლევა ცდილობს დაადგინოს როგორ ხდება სექსუალური შევიწროვების კონსტრუირება ახალგაზრდების მიერ, რომლებიც ასევე არიან ათასწლეულები. ისინი არიან შემდეგი თაობა, რომელიც მეტწილად განსაზღვრავს სექსუალურ შევიწროვებას, არამხოლოდ სოციალურ პრობლემად, არამედ სამართლებრივადაც. აქედან გამომდინარე, იმის ცოდნა, თუ როგორ ახდენენ ახალგაზრდები სექსუალური შევიწროვების კონსტრუირებას დაგვეხმარება იმის გაგებაშიც, თუ როგორ მიუდგებიან ისინი ამ პრობლემას მომავალში.

მოცემული კვლევა ცდილობს ახსნას, თუ როგორ ახდენენ ახალგაზრდები სექსუალური შევიწროვების კონსტრუირებას გენდერის ჭრილში და რამდენად აქტუალური სოციალური პრობლემაა ის დღეს საქართველოში. ორი ფოკუს ჯგუფის შედეგებმა აჩვენა, რომ ის ახალგაზრდები, რომლებსაც აქვთ რწმენა გარკვეული პარტიარქალური ნორმებისა, სწამთ გაუპატიურების შესახებ არსებული მითებისა და გარკვეულწილად იზიარებენ მიზოგენულ ხედვებს, გაცილებით უფრო ნაკლებ ქცევას და ქმედებას აიდეტიფიცირებენ სექსუალურ შევიწროვებად, ვიდრე ისინი, ვისაც, მსგავსი რწმენები და ხედვები არ გააჩნიათ. კვლევის პროცესებში გამოჩნდა, რომ ორივე სექსის წარმომადგენელი ახალგაზრდები შევიწროვების მსხვერპლად, როგორც წესი, მოიაზრებენ ქალს და უმეტესად განსაზღვრავენ მას, როგორც ქალების წინაშე მდგარ პრობლემას. შედეგები ასევე ცხადყოფს, რომ ახალგაზრდებს სექსუალური შევიწროვება მიაჩნიათ არამხოლოდ რეალურად არსებულ მწვავე სოციალურ პრობლემად, არამედ პოპულარულ თემადაც, რომელიც საკითხის პოპულარობის გამო დგას დღის წესრიგში. კვლევის შედეგები, რომელიც ცხადყოფს, რომ ამ პრობლემას ახალგაზრდები რეალურ გამოწვევად აღიქვამენ, შეიძლება გამოდგეს რეკომენდაციად პოლიტიკის შემოქმედების, დამსამებლებისა და დაინტერესებული მხარეებისთვის, საკითხის სიღრმისეულად შესასწავლად და მასზე ეფექტური რეაგირების მექანიზმების შესამუშავებლად.

**საძიებო სიტყვები:** სექსუალური შევიწროვება, ახალგაზრდები, გენდერი, სოციალური პრობლემა, სოციალური კონსტრუქციონიზმი.

## **Abstract**

Sexual harassment as a social problem was brought to light by the second wave feminist movement in the late 1970s. Since then, it was defined, redefined and constructed several times. While there is no universal definition of sexual harassment, this research focuses on how it is defined and constructed, by young people, who are also known as Millennials. They are the next generation, which will influence the way sexual harassment is understood not only as a social problem but also a legal issue. Because of this, understanding the way young people are constructing this issue, gives us information about their future approaches towards this problem.

The study investigates, how sexual harassment as a social problem, in terms of gender, is constructed among young people in Georgia and whether they see it as an actual social problem that needs to be solved. Two focus groups were conducted during the research periods. The results revealed that, those young people who are following some patriarchal norms and believe in rape myths, are more likely not to identify any action as a sexual harassment. The research revealed that young people are more likely to identify woman as a victim and therefore constructed sexual harassment as a women's issue. And finally, research results show that sexual harassment is seen not only as an actual and real but also as a popular social issue. While young people are constructing sexual harassment as a real social problem, this research could work as a recommendation for policy-makers, employers and different stakeholders to conduct some further researches about this topic actively implement precautionary measures to minimise the risk of sexual harassment occurring and to respond appropriately when harassment does occur.

**Keywords:** sexual harassment, adults, gender, social problem, social constructionism

## მადლობა

მოცემული ნაშრომის შესრულება შეუძლებელი იქნებოდა იმ მრავალი ენთუზიასტი ადამიანის უანგარო დახმარების გარეშე, რომლებიც მთელი ამ დროის განმავლობაში სხვადასხვა გზებით ჩართულნი იყვნენ და მხარს მიჭერდნენ სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაში.

პირველ რიგში, მინდა განსაკუთრებული მადლიერება გამოვხატო სამეცნიერო ხელმძღვანელის, გიორგი ნოდუას მიმართ, რომლის წვლილიც განსაკუთრებულია როგორც ნაშრომის მომზადებაში, ასევე ჩემს პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაში.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ფოკუს ჯგუფების ყველა მონაწილეს, მათი ენთუზიასტისთვის კვლევაში მიეღოთ მონაწილეობა და ნდობისთვის, რომ კვლევის პროცესში გულწრფელად გაეზიარებინათ მათი პირადი გამოცდილება.

და ბოლოს მინდა მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, რომელიც დამეხმარა კვლევების ორგანიზებაში, ლიტერატურის მოძიებაში ან რაიმე ფორმით წვლილი შეიტანა ამ ნაშრომის მომზადებაში.